# სახალხო გაზეთი

№ 866 კვირა, 7 აპრილი 1913 წ. № 866

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში— მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



## სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.
2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

**გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**
1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2 ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,
3 ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.



კნეინა ელენე იასონის ასული და თავადი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აბხაზნი გულითად მადლობას უძღვნიან ნათესავთა და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს მათ შვილის

ილიკოს

ხსოვნას. 211



## ტფილისის კერძო სამკურნალო
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან
ძმანიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მუშტაიდის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მომ ლიარე აგა ლოთი მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი | მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 3 ს. |
| | მაღალაშვილი ვ. მ. (ორშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. ნ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| | ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს. |
| ქირურგიული სნეულებანი | მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე) 11½—12½. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| | ფარბელოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საშობიარო სნეულებანი | ექიმი-ქალი მერზლიაკ-ჯორბენაძისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. |
| | თაყაიშვილი ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| | ხუნკოვი ა. ა. (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფედოროვი ე. ნ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | ზედგენიძე მ. ა. (შაბათობით) 10½—11. |
| | ჯავახიშვილი ნ. ნ. (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. |
| | ფონდოევი, გ. ხ. (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ., ყელ. ცხვ. | ათინიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½. |
| | ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 1½—2. |
| თვალ. სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. ვენერ. | დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათიშანგ. Wasserman. რეაქციისათვის 90 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი აფასებით. წ. 1035



**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**
**წამლობა ქლექისა**, იღებს შინაგან სნე. ქლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინითა, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., № 23 (დაბოვის ქ. კუთხე).
ტელეფ. № 7—93. 97



7 აპრილს, 1913 წ., საღამოს 8 საათზე, კავკასიის საიმპერატორო სასოფლ.-სამეურნ. საზოგადოების სადგომში, მოხდება

**წლიური კრება**

**ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.**

**განსახილველი საგნები:** 1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში დაარსების დღიდან 1913 წლის 1 იანვრამდე; 2) 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3) ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისა, 4) საზოგადოების ახალ წევრთა მიღება და 5) საზოგადოების საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. 1128



**სავაჭრო სახლი ზ. დ. თოიძე და კომპ.**
მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ მყიდველებს, რომ
**მომავალ უქმეებისათვის**
გვაქვს სააღდგომო ყოველგვარი მასალა და სანოვაგე.

**ფქვილი, ვიჩინა რუსული და ადგილობრივი**

საუკეთესო ხარისხის კარაქი და ერბო, ყოველნაირი ახალი საუზმეულობა „კორნოზისა“ არის აგრეთვე რუსეთისა და უცხოეთის ყოველნაირი სასმელი.
1144 პატივისცემით სავაჭრო სახლი ზ. დ. თოიძე და კომპ.



ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ცნობილი

**პასხალიდის აბრეშუმის თესლი**

ჩვეულებისამებრ იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში, ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

**სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილება:** თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს** კანტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიჭირონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსატანელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოაღწიო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა მ. გ. რუსიძე. 1079



*Общество Кахетинскихъ садовладѣльцевъ*
*„Кахетія“*
*въ Тифлисѣ*
№

Заявлено М-вѣ Торг. и Пром.

УСТАВЪ ОБЩЕСТВА УТВЕРЖДЕНЪ

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,
**„კახეთი“-ს საზოგადოება**
საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოეკიდება სასამართლოს წესით. 1054
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.



ქარხნის მარკა

**კონიაკი და ლიკორი**
**ს. ს. შამრიარსკისა**
ტფილისი, ელისაბედის ქუჩა № 166. 1570



**მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.**

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

**„ნაკადული“-ზე.**

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ორი გამოცემა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან „ბიძია თომას ქოხი“,** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ**. ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**. გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი**



გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.



მხოლოდ **ახალი ცომის ხაში**

ერთად-ერთი, ტფილისში ცნობილი ქარხნისა ქ. გ. შურისა.

უზრუნველვყოფს, რომ კარგი კულიჩები და პასკები გამოვა. მხოლოდ **ახალ ხაშსა** აქვს ძალა და მხოლოდ ქარხანა შური. ახალი ხაშის შოვნა შეიძლება ყოველ დღე ყველა საუკეთესო საკონდიტრო, საბაკალეინო და საგასტრონომიო მაღაზიებში, გარდა აფიცერთა საეკონომიო საზოგადოებისა **უმაღლესი ხარისხის** ხაშის შოვნა შეიძლება მხოლოდ ქარხანაში. ყიდვის დროს გთხოვთ ფირმას მიაქციოთ ყურადღება. ფირმა 1889 წლიდან არსებობს. **იმყოფება:** ალექსანდრესა და ფეიერვერის ქუჩის კუთხეში, № 1. 213



**დღეს, 7 აპრილს, იხსნება**

საათფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზია, ფირმით

**„სოლოტატი“**

**სოლოლაკის ქუჩაზე, ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ახალ სახლში.**

ჩემი 25 წლის პრაქტიკა კავკასიის საათფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიის გამგეს თანამდებობაში, საქმის ცოდნა და აგრეთვე ახალ-ახალი საქონელი, რომელიც მაღაზიაში აწყვია ცნობილ ფირმების უმაღლესი ხარისხისა, ნებას მაძლევს იმედი ვიქონიო ტფილისის საზოგადოების ყურადღებისა, რომელიც სავსებით დარწმუნდება საქონლის კეთილსინიდისიერ გაყიდვაში.
1143 ფირმის წარმომადგენელი **ა. შ. ოვჩიანცი.**



**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.**

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020



**საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოებაში იყიდება **საუკეთესო ყვითელი გრენა** (აბრეშუმის ჭიის თესლი), **ფრანგული ჯიშისა.** დ. დ. დეკანოზიშვილის. მისხალი 55 კაპეიკად. შემოწმებული საბრეშუმო სადგურში. 210.



**არსდება**

**ტფილის. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობ. გუნდი**
**მიხ. კავსაძის** ხელმძღვანელობ. თ. მიღება და ჩაწერვა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, ს. ღ. 5—7 საათამდე. 1129



**ბუფეტი „სატივო“**

**ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.**

**აზიური საჭმელები**
**ახალის სანოვაგისა**

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის.
**ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114



**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 696.

**ე. ხ. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
**ზ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ საათ.
**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
**ნ. მ. მელიქიშვილი,** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისა 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
**წამლობა „606“**-ით. 1053



**სამტრედიაში**
**ექიმი ე. ქ. აბულაძე** იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე სწამლობს „606“ და „914“. 1118



**სამკურნალო**
**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 483.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**არგუტინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10½ ს.
**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.
**ბოგუსლავსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
**პოლამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ.—3 ს.
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 1½—12½.
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვიხლიაევი.** ქირურგ. ავადმ. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ 11—12 საათ.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
**გ. ნ. გეინაცი**—თვალის ავადმყ. ორშაბ., ოთხშ., პარასკ. საღ. 4—5 ს.
**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ავად. სამშ, ხუთშ., შაბ., კვ., საღ. 4—5 ს.
**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.



**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
**მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლოახოვის ქ. № 4. წ. 1022



**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
**ორდინატორად სამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 2. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 19



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ერლიხ-ჰატას** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. ძოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სამედიცინო განყოფი. პიროვპირ. 102



**ექიმი** ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.** ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130



**ექიმი ნ. ტ. მულინი** ყელისა, ცხვირისა და ყურისა. ვერის დაღმართი, № 3. 212.



**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ელექ. და დამბალი ცივება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071



**კბილის ექიმი ა. გ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

# უცნაური კანონმდებლობა

უცნაური ხასიათის კანონმდებლობამ მოიკიდა ფეხი ამ ჟამად რუსეთში. დაჩქარებით, აჩქარებულის ტემპით გაჰყავთ ძველი დახავსებული და ყველასაგან მრავალჯერ დაწუნებული კანონები. ამის მიზეზი ისაა, რომ, საზოგადოდ, კანონმდებლობა შეწყვეტილია და სახელმწიფოებრივ ყველა სფერაში ერთ წერტილზეა საქმე გაჩერებული. არ მოგახსენებთ იმ ძირითად კანონებზე, რომელთა განხორციელება უთუოდ უნდა მოჰყოლოდა 17 ოქტომბრის მანიფესტს: ესეთი კანონები ხომ გადადებულია და გადადებული. ვგულისხმობთ უფრო მცირე მნიშვნელობის კანონებს, რომელთაც ადგილობრივი ხასიათი უფრო აქვთ. ასეთი კანონმდებლობაც-კი შეჩერდა. ავიღოთ, მაგალითად, ადგილობრივ თვითმმართველობის საკითხი. ჯერ კონსტიტუცია სად იყო, რომ ამ საქმის წინ წაწევა მორიგ საკითხად იყო აღიარებული?! 1904 წლის 12 დეკემბრის ცნობილი ბრძანება აუცილებელ საჭიროებად აღიარებდა ადგილობრივ საერობო და საქალაქო თვითმართველობის დებულებათა გაუმჯობესებას. მთელი რუსეთის საზოგადოებრივი აზრის თანახმად, იქაც დაწუნებული იყო აწინდელი სათვითმართველობო კანონი და აღნიშნული იყო მისი გადაკეთების საჭიროება უფრო ფართო და უფრო დემოკრატიულს პრინციპებზე. მას შემდეგ მეათე წელიწადი მიდის და საქმის წინ წაწევასკი არა, გაუარესებას ვხედავთ. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებული „ადგილობრივ სამეურნეო საქმეთა“ საბჭოც-კი დაარსეს, რომელსაც დაევალა თვითმმართველობის რეფორმის მომზადება: მესამე სათათბიროში ამგვარივე საგანგებო კომისიაც-კი მუშაობდა რამდენსამე წელიწადს; ადგილობრივაც ბევრგან გაიმართა მთავრობისავე თაოსნობით თათბირი ამავ საგანზე, —მაგრამ, მიუხედავად თითქო საერთო სურვილისა, საქმე გაყინულია და არც ვინ იცის, როდის გადნება ყინული, როდის დაიძვრის წინ ეს დიდი საქმე. პირიქით, ბევრი რამ არის იმის მომასწავებელი, რომ კიდევ დიდხანს დასჭირდება მოწყურებულს ქვეყანას ლოდინი.

ერთ-ერთი ამისი სიმპტომი არის სწორედ ის დაჩქარებული კანონმდებლობა, რომელზედაც ზევით მოგახსენეთ. მთავრობაც, სახ. საბჭოც, სათათბიროც და თვით მცხოვრებნიც ჩქარობენ ძველი კანონები მაინც განახორციელონ იქ, სადაც მათი მოქმედება არ იყო წინად გავრცელებული. ჯერ ამ წესების შემოღების დიდ უარზე იყვნენ: საცაა საზოგადო საიმპერიო ახალი კანონი გამოიცემაო და მაშინ სჯობია საერობო და საქალაქო თვითმმართველობის შემოღება იმ ადგილებში, სადაც ეს დაწესებულებანი არ მოქმედებენო. მაგრამ, მიდიოდა დრო და საერთო ახალი კანონი არა სჩანდა, ამიტომ გაუსვეს ხელი და გულმოდგინეთ ავრცელებენ ძველს წესებს. შემოიღეს ძველი დახავსებული ტიპის ერობა ჩრდილოეთ-დასავლეთის გუბერნიებში, ზოგიერთ ჩრდილო და აღმოსავლეთ გუბერნიებში, შეაქვთ ეხლა 1892 წლის საქალაქო დებულება პოლონეთის ქალაქებში და სხვა. საკვირველი ისაა, რომ ოდნავ გაუმჯობესების მოხდენაც არა ჰსურთ, თუმცა ეს შესაძლებელია ახლაც და თუმცა პრინციპიალურად ამის წინააღმდეგი თითქო არც არავინ არის. მაგალითად, ორი წლის წინად, როცა სახ. საბჭოში ირჩეოდა კანონ-პროექტი პოლონეთის გუბერნიებში საქალაქო დებულების განხორციელების შესახებ, პოლონელმა დეპუტატებმა რამდენიმე შესწორება შეიტანეს, რომელნიც ცოტათი აფართოვებდნენ საარჩევნო უფლებასა და საქალაქო თვითმართველობის სამოქმედო კომპეტენციას, ესე იგი, თხოულობდნენ სწორედ იმას, რაც თვით მთავრობის განზრახვად არის აღიარებული. მაგრამ შესწორებანი უარყოფილ იქმნა და, აი, დღეს, იმავ სახ. საბჭოში, პოლონელი გოდლევსკი ეუბნება ვისაც ჯერ არს: ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, უარს ვამბობთ ჩვენს შესწორებებზე, უიმედო საქმეა, მოგვანიჭეთ ისევ არსებული დებულებაო. და დახავსებული ძველი კანონი გამარჯვებას დღესასწაულობს: პოლონეთმაც უნდა მიიღოს ის მაღალცენზიანი და ვიწრო ფარგალში გამომწყვდეული, ვიწრო სამოქმედო ასპარეზის საქალაქო დებულება, რომლის შესახებ მთელი რუსეთი ერთნაირის აზრისაა, სახელდობრ იმ აზრისა, რომ 1892 წლის საქალაქო დებულებამ სრულებით დასცა და დააქვეითა ქალაქთა მეურნეობა, ქალაქთა კეთილდღეობა და მკვიდრთა თვითმოქმედებას ჯასავალი დაუხშოო... ჩვენც ამ მდგომარეობაში არა ვართ? განა ჩვენ არ გვიძახით: ვეღარ ვუცქერით თქვენს გამშვენიერებულს ერობას, მოგვეცით ეგ დამახინჯებული და უმზგავსი დაწესებულება, მაგრამ ჩვენთვის არც ეს ემეტებათ...

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ მთავრობა და საკანონმდებლო დაწესებულებანი იმიტომ არიან კერძოობითი ხასიათის შესწორებათა წინააღმდეგნი, რომ აღარ უნდათ არსებულ კანონის მთლიანობის დარღვევა, რაკი საერთო რეფორმაა განზრახული. სრულებითაც არა. პირიქით. სადაც მათი საიგებლობაა, უკვე ვთქვათ, სადაც ჰგონიათ, რომ ცვლილება სარგებლობას მოუტანს მათს ინტერესებს, იქ არ ერიდებიან ძირითად შესწორების შეტანასაც კი. აიღეთ, მაგალითად, კურიების საქმე. თავისთავად კურიალური სისტემა არჩევნებისა შეიძლება სასარგებლოც იყოს, მაგრამ ამისთვის სულ სხვა პირობებია საჭირო. იქ, სადაც თვითმართველობა დამყარებულია სრულს დემოკრატიულს პრინციპებზე, სადაც დაცულია საყოველთაო საარჩევნო უფლება, იქ კურიების სისტემა შეიძლება გახდეს ზედმეტ გარანტიად ეროვნულ ან ჯგუფებრივ უმცირესობათა უფლებისა დასაცველად; ხოლო ისეთ ქვეყანაში, როგორც თანამედროვე რუსეთია, სადაც სათვითმართველო არჩევნები აგებულია არისტოკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების მიხედვით, ასეთ ქვეყანაში კურიალური სისტემა გარანტია-კი არ არის, არამედ ზედმეტი პრივილეგია გაბატონებულ ერისა ან კლასისთვის. ამიტომ, ასეთ პრინციპის შეტანა ძველ კანონებში კიდევ უფრო ამახინჯებს და აუარესებს მათ. აი, ასეთ დამახინჯებისთვის არ ერიდებიან ძველი კანონის მთლიანობის დარღვევას და გულმოდგინეთ სჩადიან ამას ყოველ შემთხვევის დროს: ერობის ძველი დებულება დაამშვენეს კურიებით და ისე განახორციელეს დასავლეთ გუბერნიებში, კავკასიის ნამესტნიკის კანონპროექტი ქალაქ ყარსში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებაზე დაიწუნეს, რადგან იქ კურიალური პრინციპი არ იყო დაცული და სხვა... ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი ძველის კანონის გაუარესებისა და ამისათვის ამ კანონის მთლიანობის დარღვევისა. ძველი საქალაქო დებულება (1892 წლისა) საკმაოდ დიდ უფლებას ანიჭებს ადმინისტრაციას: უამისოდ, ადმინისტრაციის დაუდასტურებლად, თვითმართველობას ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლიან. მაგრამ ეს საკმარისად არ უცვნიათ და პოლონეთის საქალაქო რეფორმაში შეუტანიათ ახალი მუხლი: ადმინისტრაციას ნება აქვს ქალაქის საბჭო დაითხოვოს ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე. ესეთი ძლიერი იარაღი ადმინისტრაციის ხელში სრულებით შეჰხუთავს ისედაც ხელფეხ-მეკრულს ადგილობრივ თვითმართველობას...

ამრიგად, ისეთ კანონმდებლობის ნაცვლად, რომელსაც უნდა აღესრულებინა განახლების აღთქმა, ხელში შეგვრჩა კანონმდებლობა, რომლის საგანია ძველის დამახინჯებულის კანონების კიდევ უფრო დამახინჯება და მათი გავრცელება-გამეფება აჩქარებულის ტემპითა და დიდის გულმოდგინეობით.

# ქართული პრესა

ჩვენი დასელებისთვის ეროვნული პრობლემა რაღაც საბედისწერო თავსამტვრევ საკითხად გადაიქცა. ახლა ერთმანეთს დაეტაკნენ, რადგან საკითხის დაყენებაშიაც-კი ვერ შეთანხმებულან. ამას წინად ჩვენ ვუამბეთ მკითხველთ, თუ რაგორ უბრალოდ და საოცარის სიმხატით მოიშორა ბაქოელმა „წყარომ“ ეროვნული პრობლემა. რა ჩვენი საქმეა ამ ბურჟუაზიულ საკითხზე ზრუნვა, სჯა-ბაასიო. „ეროვნული დაჩაგვრა და სხვა ამგვარი ჰანგები მხოლოდ ზედაპირია არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათაო“,—სწერდა ძველი დასელი „წყაროში“; მოაშორეთ ეს ზედაპირიო და თქვენ ხელში დარჩება ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც დაყრდნობილია კლასობრივ წინააღმდეგობაზე. „მორჩა და გათავდაო“, დასძინდა ძველი დასელი, სრულიად დარწმუნებული, რომ გადასწყვიტა ეროვნული საკითხი. ნამდვილი სირაქლემა, რომელიც მტერს—მდევნელს ემალება ქვიშაში თავის ჩაფვლით... ქუთათურ „დილა“-ს არ მოსწონებია ძველი დასელის ასეთი დიდებული აზრი. „ეროვნულ ჩაგვრის „ჰანგებათ“ გამოცხადება არ კმარა, პირიქით ასეთი გამოცხადება საკითხის მიფუჩეჩებას ნიშნავსო,—ეუბნებიან დილაელები წყაროელებს. „ეროვნული ჩაგვრაო,—განაგრძობს „დილა“, —ჰანგი კი არაა, რეალური ფაქტია, რომელსაც მარქსიზმი ყოველთვის აღიარებდა და ანგარიშს უწევდაო“. და ბოლოს ამ სიტყვებით უმასპინძლდება ბაქოელ დასელებს: „როცა ძველი დასელი თვით „ეროვნულ ჩაგვრას“ ბრჭყალებში სვამს და ჰანგად აცხადებს, ამით იგი ამ საკითხავს ბურჟუაზიულად სვამს და ნიჰილისტიურად უარჰყოფს. მარა ამით თვით საკითხი ოდნავადაც არ იღებს გარკვეულობას და ისევ ბურუსში გახვეული რჩებაო“.

არ ვიცით ამ გამასპინძლების შემდეგ როგორღა „დასვამს“ საკითხს ძველი დასელი, მაგრამ ის-კი უნდა გაახსენოს დილელებს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ყველა დასელები—ძველიც და ახალიც, ბოლშევიკიც და მენშევიკიც, ლიკვიდატორიც და რევიზიონისტიც და სხვა მრავალი — ერთნაირად „სვამდენ“ ეროვნულ საკითხს ფრჩხილებში და ბურჟუაზულ ჰანგად ნათლავდნენ მას...

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

**5 აპრილის სხდომა.**

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. განსახილველ საქმეთა სიაში არის საკანონმდებლო მოსაზრება სათათბიროს და საბჭოს სხდომების ანგარიშთა გამოქვეყნების წესრიგზე და მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი სედლეცის გუბერნატორის უმოქმედობაზე უნიატთა და კათოლიკეთა მართლმადიდებლების სარეგისტრაციო წიგნში შეტანის საქმეში.

განაგრძობენ ვაჭრობის მინისტრის განცხადების განხილვას, ნავთის მრეწველთა სინდიკატებზე.

**მილიუტინი.** ნავთის გაძვირების მიზეზი არის მთავრობის საფინანსო პოლიტიკა, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მცხოვრებთა ეკონომიურ ინტერესებს. მოლაპარაკეს, კრიზისის ასაცდენად, საჭიროდ მიაჩნია დროის შესაფერი სააქციონერო კანონმდებლობა, ნავთიან ადგილების გაფართოვება, ნავთის სახელმწიფო დამუშავება; ამასთანავე ერთად საჭიროდ მიაჩნია, მიეცეს ოკინის გზებს უფლება თავის საჭიროების დაგვარად იშოვნონ ნავთი და სხვა.

**სკობელევი.** სამინისტროს ზომები ბოროტ-მოქმედებასთან საბრძოლველად უვარგისია. აკრძალვითი ზომები, რომელსაც მემარჯვენენი გვირჩევენ, კაპიტალისტურ გარდუვალ განვითარებაში სრულიად უაზროა. ერთადერთი ზომა, რასაც შეუძლიან მუშა ხელის გამრავლება და შრომის საწარმოო იარაღად გარდაქცევა, არის მუშათა ორგანიზაციობის უფლებრივი, ეკონომიური და კულტურული გაუმჯობესება.

**ბუბლიკოვი.** ნავთის წარმოებაში სინდიკატი შეუძლებელია; ნავთის შემცირება შედეგია ბაქოს ნავთიან ნიადაგის გამოფიტვით; თუ ნავთის გაყიდვის საქმეში არსებობს სინდიკატი, ეს შედეგია საეკონომიო არა რაციონალურ პოლიტიკისა. მინისტრის მიერ აღნიშნული ზომები, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მხოლოდ თავის დროზე იქნება სასარგებლო. ნავთის შეცვლა ნახშირით რთულდება ნახშირის სიმცირით. იგი გამოიწვევს უკანასკნელის გაძვირებას. მოლაპარაკე იცავს თავის წინადადებას, დაარსდეს ცალკე კომისია საკითხის ყოველ მხრივ შესასწავლად.

**ვინოგრადოვი.** სამინისტროს მიერ განზრახული ზომები დასაკმაყოფილებლად ჩაითვლება. მოლაპარაკე იმ აზრისაა, რომ სინდიკატი არსებობს. ფორმალურად არსებობს იგი თუ არა, ამით მომხმარებლის მდგომარეობა ოდნავადაც არ მსუბუქდება. იგი ციფრებით ამტკიცებს, რომ ნავთის სიმცირე ამ უკანასკნელ წლებში აიხსნება მრეწველთა სურვილით შეასუსტონ ნავთის შოვნა. საჭიროა ხაზინამ ზომიერად გამოიყენოს ხალხის სიმდიდრე. დეე, ნავთის სახაზინო მონოპოლიის იდეა ჯერ-ჯერობით უკუგდებული იყოს, დეე, ხაზინა მხოლოდ სახაზინო მიწებით დაკმაყოფილდეს, მაგრამ მრეწველებმა უნდა იცოდნენ, რომ ხაზინას მათთან საბრძოლველად ძლიერი იარაღი აქვს. მას შეუძლიან მონოპოლიზაცია მოახდინოს მთელი ნავთის საქმისა. კადეტებს წინადადება შეაქვთ, დაარსდეს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ სათათბიროსი, მთავრობისა, საზოგადო თვითმართველობისა, სამრეწველო ორგანიზაციებისა და მომხმარებელთა წარმომადგენელნი, საკითხის ყოველ მხრივ და მიუკერძოებელ შესასწავლად და გადასაწყვეტად.

**მარკოვი მეორე.** მართალია, მთელ დედა-მიწის ზურგზე გასათბობ მასალის და საზოგადოდ პირველ საჭიროების საგანთა ფასები ხელოვნურად იწევა სინდიკატებისა და ტრესტთა მოქმედების წყალობით, რომელთაც სათავეში უდგას ისრაელთა დიადი კავშირი. ბაქოს რაიონში სრულიადაც არ გამოლეულა ნავთიან ადგილების ნოყიერება, არამედ განზრახ ამცირებენ ნავთის შოვნას, რათა ფასი ასწიონ. მემარჯვენენი, იმის ში შით, რომ რუსის ერი არ გადავიდეს ებრაელთა ხელში, ყოველთვის ეწინააღმდეგება სინდიკატებს, ლოკაუტებს და მუდამაც ბრძოლას გაუწევს მათ. მეორე მხრით მემარჯვენენი მუშათა კავშირების და გაფიცვების წინააღმდეგნი არიან, რადგანაც ერთიც და მეორეც ერთნაირად არღვევენ მშვიდობიან ცხოვრებას და წეს-რიგს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუშალოს სინდიკატების და მუშათა კავშირების გაძლიერებას, მის ხელში უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრების მართვა-გამგეობა. მემარჯვენენი მოუწოდებენ მთავრობას, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს სინდიკატებს, აღიაროს იგი ხალხის მტრადა და სახელმწიფოს დამღუპველ ორგანიზაციად (მარჯვნივ ტაში).

**მღ. ბუდილოვიჩის** აზრით საჭიროა სახაზინო მონოპოლიის შემოღება.

**ხვოსტოვი.** ვიდრე სათათბიროში ნავთის კრიზისის თაობაზე კამათი იყო, ბაქოში ნავთის ფასმა რამდენიმე კაპეიკით აიწია. მოლაპარაკე ეყრდნობა გოლდშტეინის წიგნს სინდიკატების თაობაზე და აღნიშნავს სინდიკატების ძალას და გავლენას ამერიკაში. იქ საკანონმდებლო დაწესებულებათა წევრების ერთ მესამედზე მეტი სინდიკატების მიერ არის მოსყიდული, მინისტრები და სტატსეკრეტრები ტრესტების იურისკონსულტად არიანო. საჭიროა ეს ყველას გვახსოვდეს. რეფორმების წინა დროს არსებობდაო სხვა და სხვა საქმეთა აღმასრულებელი კანტორები, სადაც მიდიოდნენ წარჩინებულნი პირონი საიდუმლო პირობების შესაკრავად; ეხლა მთელი აუქციონები ხდება, სადაც მოსყიდულნი არიან რუსის გენერლები, რომელნიც არ არსებულ ძომავალ ქარხნებში გადადიან ჯამაგირისთვის. (ტაში მარცხნით). მინისტრმა სათათბიროს გულუბრყვილო განმარტება მისცა. ძნელია გამორკვევა ნამდვილად გულუბრყვილოა იგი განმარტება, თუ ნაძალადევია, ბაქოელ ნავთის მრეწველთა საბჭოს მიერ ნაკარნახევი. ამ ბოლო დროს სინდიკატებმა ყოველ ღონეს მიჰმართეს, რათა საკითხი მიეფუჩეჩებინათ. ოფიციოზმა განაცხადა, რომ მემარჯვენენი სარევოლიუციო გზას დაადგნენ, თავის დროზე რომ სინდიკატებთან ბრძოლა დააწერესო; მაგრამ მემარჯვენენი იმისთვის არ არიან მოწოდებულნი, რომ ყავვილვარდით მოუფინონ გზა ბატონ მინისტრებს. მემარჯვენენი იცავენ საუკუნეთა აღთქმებს და მუშაობენ ძალღონის და შეძლების დაგვარად რუსის ერის სასარგებლოდ. ამით ისინა ემსახურებიან სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს. მოლაპარაკე უარჰყოფს მემარცხენეთა ბრალდებას, ვითომც შეკითხვა მემარჯვენეთა აგრარიებმა შემოიტანესო; ზოგიერთს ს ჰსურთ საკითხი სხვა დარგში გადაიტანონ და ამით დაჩრდილონ, მიაფუჩეჩონო იგი; აღნიშნავს რომ ნავთიდან ნახშირზე გადასვლა მხოლოდ დიდ ფირმებს და რკინის გზებს შეუძლიანთ; იგი წვრილ მომხმარებელთა ძალღონეს აღემატებაო. მინისტრი ჰლაპარაკობს კონიუქტურაზე და ის კი ავიწყდება, რომ მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი სამინისტროს და სინდიკატების ურთიერთობაო. მოლაპარაკე მოაგონებს, რომ ჯერ კიდევ ხუთი წლის წინად, ვოლოგოდის გუბერნატორობის დროს, მან მთავრობის ყურადღება მიაქცია უხტინის ნავთიან რაიონს. მაგრამ პეტერბურგში ეს საკითხი ერთ კომისიიდან მეორე კომისიაში გადავიდა და დღევანდლამდე არაფერი გაკეთებულაო. მინისტრის განცხადება, ახალ კანონის გამოცემის შესახებ, საგრძნობლად ჰკარგავს თავის ფასს თუ გავიხსენებთ მინისტრისავე სიტყვას, რომ კანონი მას ვერ აკმაყოფილებსო. მემარჯვენეებს აუცილებლივ საჭიროებად მიაჩნიათ სასამართლოს ან სენატის გამოძიების დანიშვნა, რომელსაც შეეძლება იდუმალების ფარდა ჩამოჰგლიჯოს, რაც ხელს უწყობს სინდიკატების მტკიცე გამოჭედვას. ხალხის წარმომადგენლებმა ნება არ უნდა მისცეს, რომ დაუსჯელად ითამაშონ ხალხის საარსებო ლუკმით.

გამოაქვეყნეს რამდენიმე ფორმულა. სათათბირომ მიიღო მემარჯვენეთა შემდეგი ფორმულა: მოვისმინეთ რა ვაჭრობის მინისტრის განმარტება, ვერა ვცანით იგი დამაკმაყოფილებლად და მწუხარებას გამოვთქვამთ, რომ მთავრობამ ამ დრომდე არავითარი ზომა არ მიიღო გასათბობ მასალაზე ფასის დასაკლებად. სათათბიროს საჭიროდ მიაჩნია: 1. სასამართლოს გამოძიების დანიშვნა სინდიკატების და ყველა მონაწილე დაწესებულებების მოქმედების გამოსარკვევად; 2. ნავთიან ადგილების რაიონთა გაფართოვება; 3. სახაზინო ადგილების გამოკვლევის დანიშვნა; 4. უბაჟოდ შემოტანა საზღვარ-გარეთიდან ნავთისა და ნახშირისა; 5. ამიერ კავკასიაში უნდა მოისპოს ნავთის გომატნის ჯილდოლგოტის ტარიფების სახით.

სხვა ფორმულები უარჰყვეს. წაიკითხეს სოც.-დემოკრ. განცხადება; სოციალ-დემ. წინადადებას იძლევიან, რიგს გარეშე განიხილონ გუშინდელ დემონსტრაციის თაობაზე შემოტანილი შეკითხვა. უკამათოდ მიიღეს ექვსი კანონ-პროექტი. უკამათოდ უარჰყვეს ლევაშოვის მიერ შეტანილი კანონ-პროექტი, სამხედრო-სამკურნალო აკადემიისთვის ახალ შენობის მისადგმელად და კათედრების გასაკეთებლად გაიღონ ფული.

შეიტანეს კანონ-პროექტი, ფული გაიღონ მიხეილის საავადმყოფოში სადოსტაქრო კლინიკაში რენტგენის კაბინეტის მოსაწყობად. კანონ-პროექტი უარჰყვეს.

ერთი კანონ-პროექტის განხილვა სხვა დროისთვის გადადეს.

განაგრძობენ შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტების განხილვას.

**პეტროვსკი.** დეპუტატის ხელშეუხებლობის იურიდიული მხარე მშვენიერად დაიცვეს ჩხენკელმა, კერენსკიმ და ალექსანდროვმა, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიანთ მარტო იურიდიულ მხარეს დაეყრდნონ, რადგანაც მისი ახსნა წაღმაც შეიძლება და უკუღმაც. იურიდიულად შეიძლებოდა მონობის, ბატონყმობის და სხვა ძალადობის, გამართლება. მოლაპარაკე აღნიშნავს, რომ მასთან მისული სტუმრები 24 საათს არა ყოფილან და ამისთვის არ ჩაეწერა ისინი სახლის დავთარში. მოლაპარაკე უარჰყოფს მინისტრის სიტყვებს, ვითომც მისი სტუმრები დიდი დამნაშავენი იყვნენ.

რადგანაც სხდომაზე კანონიერი რიცხვი დეპუტატებისა არ იყო, სხდომა გადაიდო.

შემდეგი სხდომა 24 აპრილს.

# სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო).

**5 აპრილის სხდომა.**

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს.

საბჭო განაგრძობს პოლონეთის გუბერნიების საქალაქო დებულების კანონ-პროექტის განხილვას.

**ბაგალეი და ზინოვიევი** მოითხოვენ გამორიცხონ მუხლი, რომელიც მთავრობას ანიჭებს ვადის გასვლამდე ქალაქის საბჭოს დათხოვნის უფლებას.

საბჭომ, 54 ხმის უმრავლესობით 50 წინააღმდეგ, პრინციპიალურად საჭიროდ სცნო ზამოხსენებული მუხლი. ამ განყოფილების მუხლობრივ განხილვის დროს. საბჭომ 38 მუხლი მიიღო **ზინოვიევ მეორის** რედაქციით, რომლის თანახმად საბჭოს დათხოვნა მხოლოდ უმაღლესი ბრძანებით შეიძლება და ახალი არჩევნების დანიშვნა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ორი თვისა. კომისიის რედაქციით კი დათხოვნის უფლება ენიჭებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ისიც ექვსის თვით. მა განყოფილების სხვა მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს. 44—48 მუხლები საბჭომ უარჰყო.

საბჭომ ბევრი შესწორება უარჰყო; კანონ-პროექტის სათაურად კობილინსკის წინადადებით „პოლონეთის სამეფოს“ ნაცვლად ჩამოსთვალა 9 გუბერნია, რომელსაც ეხება კანონ-პროექტი. საბჭომ გადასწყვიტა სათათბიროს გადასცეს კანონ-პროექტი ხელმეორედ განსახილველად.

შემდეგი სხდომა 9 აპრილს.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **ილიას ძეგლი.** დღეს, 7 აპრილს, ქ. მ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობა ინჟენერ პ. გ. მაძრაძისაგან ილიას ძეგლს ჩაიბარებს. თანახმად წ.-კითხვის საზოგადოების შარშანდელ კრების დადგენილებისა, ძეგლის დათვალიერება-მიღებაში მონაწილეობის მისაღებად, ნაშუადღევის 5 საათზე, მამადავით.ს ეკლესიის გალავანში, მიწვეული არიან შემდეგი ინჟენრები, მხატვრები, ხუროთ-მოძღვარნი და საზოგადო მოღვაწენი: ან. ნიკ. კალგინი, გენ. თევდ. გრინევსკი, ოსკ. ივ. შმერლინგი, გ. ი. გაბაშვილი, კიტა აბაშიძე, ი. ნიკოლაძე, გ. ზ. ქურდიანი, პ. პ. გელეიშვილი და ს. კლდიაშვილი. ძეგლის კურთხევის დღეც ამ კვირია დაინიშნება.

✦ **ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა.** გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა გაიხსნა. გამოფენა გახსნა ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგმა ა. ი. ხატისოვმა, რომელმაც დამსწრეთ მიულოცა ასეთ სასარგებლო გამოფენის გამართვა და შემდეგ დამსწრეთ გადასცა საინტერესო ცნობები ტფილისში ჭლექთან ბრძოლის საქმის მდგომარეობის შესახებ: პირველი ასეთი გამოფენა გამართულა ტფილისში 1904 წელს, რომელიც დაუთვალიერებია 4,000 კაცზე მეტს. გამოფენაზე წაუკითხავთ მრავალი ლექცია ჭლექის შესახებ. ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებას, რომელიც ახლახან დაარსდა, საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეჰგებებია. შარშან საზოგადოებას გაუხსნია 3 ამბულატორია, სადაც 8 თვის განმავლობაში 648 ჭლექიანი მისულა. საზოგადოებას ამ ჟამად ჰქონია 115,000 მან. ნაღდი ფული, რომელიც აბასთუმანში სანატორიის აგებას უნდა მოხმარდეს. გვირილობის დღესასწაულს ქართო ტფილისში პირველ წელიწადს მიუცია საზოგ დოებისთვის 5,195 მან., ხოლო შარშან—16,825 მან., სულ წმინდა შემოსავალი საზოგადოებას სხვა და სხვა დაბა-ქალაქიდან ჰქონია 37,064 მან. საზოგადოებას აბასთუმნის სანატორიის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა საბოლოოდ შეუდგენია. შენობა, რომელიც ვარაუდით 363,000 მან. დაჯდება, სამ სართულიანი იქნება. ბ-ნმა ხატისოვმა აღნიშნა, რომ ტფილისში $^{1}/_{7}$ ნაწილი ავადმყოფებისა ჭლექის მსხვერპლი ხდება. დასასრულ ა. ი. ხატისოვმა მადლობით მოიხსენია პრესა, რომელიც დიდის ყურადღებით ეკიდება ჭლექის საკითხს და იმედი გამოსთქვა, რომ შემდეგაც ასე მოიქცევა. გამოფენის გახსნას დაესწრნენ: მეფის მოადგილის თანაშემწის მეუღლე მ. პ. ვატაცი ა, ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების თავმჯდომარე მ. მ. თუმანოვისა, გიმნაზიების დირექტორები, ექიმები, საზოგადო მოღვაწენი, პრესის წარმომადგენელნი და სხვანი. საზოგადოების საბჭომ მისალოცი წერილი მიიღო საქართველოს ეგზარხოსისაგან, რომელიც მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ამ საინტერესო და სასარგებლო გამოფენის გახსნას მრავალ მიზეზის გამო ვერ ესწრება. დამსწრეთ შესაფერ განმარტება-ახსნას აწვდიდნენ ა. ი. ხატისოვი და ექიმი მ. ნ. ვესელოვზოროვი.

✦ **მტკვარმა შესამჩნევად მოიმატა** ბევრს ალაგას წყალი კალაპოტიდან გადმოვიდა და დაბლობი ადგილები, როგორც მაგალითად დესიმონოვის მოედნის (რიყეზე) ერთი ნაწილი, გუშინ სულ დაჰფარა. ქალაქის გამგეობამ გუშინვე განსაკუთრებული ღონის-ძიებანი მიიღო უბედურების თავიდან ასაცდენად.

✦ **ტრამვაის** დირექციამ კონდუქტორებს დაავალა მტკიცედ შეასრულონ სავალდებულო დადგენილებათა ის მუხლი, რომლითაც მგზავრთ ტრამვაის ვაგონებში პაპიროსის მოწევა აკრძალული აქვთ. პაპიროსის მოწევა შეიძლება მხოლოდ ტრამვაის წინა და უკანა ბაქანზე.

✦ რადგანაც **შენობის აგების სეზონი** დადგა, ამის გამო ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგეობამ პოლიცმეისტერს სთხოვა, დაავალოს პოლიციელთ, თვალყური ადევნონ, რათა სახლის პატრონებმა, სახლების აგებისა და გადაკეთების დროს, სავალდებულო დადგენილებანი დაიცვან: ქალაქის გამგეობისაგან შესაფერი ნებართვა აიღონ, ქუჩებზე საკმარისი ადგილი დასტოვონ გასავლელ-გამოსავლელად ‍ დ სხ.

**საბირჟო ცნობები.** 6 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 70 კ., აძლევენ—85 მან. 45 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. აძლევენ—82 მან. 50 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., 25 კ. აძლევენ—78 მან.

✦ მთავრობის მიერ ს. კარაუტიდან ს. იპში გადასახლებული 56 კომლი გლეხი დეპ. ვ. გელოვანს უგზავნის მოხსენებას, სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვის შესატანად.

✦ 17 აპრილს, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, პროფესორი პ. ნ. მილიუკოვი ტფილისში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ოსმალეთის კრიზისი და ბალკანეთის კავშირი.“

✦ თ. სკოლოგუბი ლექციის წასაკითხად ქუთაისში მიდის, ქუთაისიდან ბათომში.

✦ უკანა კნელ ორის კვირის განმავლობაში ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას სხვა და სხვა პირზე 46 ოქმი შეუდგენია სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 5 აპრილს მოხდა. კრებამ პრინციპიალურად გადაწყვიტა, შეიძინოს ხუნუნცისაგან არსენალის გზატკეცილზე 710 ოთხკუთხი საჟენი მიწა 18,000 მან. შიოევის სახელობის სახელოსნო სკოლისთვის. ეს მიწა ცენტრს შეადგენს, ავლაბრისა, ნაძალადევისა და ჩუღურეთისათვის. ამას გარდა კომისიამ დაადგინა, საბჭოს მიერ გადადებულ 3,000 მანეთიდან 2,000 მან. ექსკურსიებისთვის განაწილოს საქალაქო სკოლებს შორის, იმ ანგარიშით, რომ უფროს კლასების თვითეულ მოსწავლეს ერგოს დაახლოვებით 2 მან. 35 კ.

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება დღეისთვის არის დანიშნული, დილის 11 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 8 აპრილს, მოხდება. საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს: 1) ქალაქის გამგეობის მოხსენებას: 1000 მან. გადადოს ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის ცხენების შესაძენად, 2) ქალაქის სასალახო მოსამსახურედ ნამყოფ ნესტორ ცერცვაძის საჩივარს (ნ. ცერცვაძე გამგეობას უჩივის, ხვედრი ჯილდო არ მომცა სამსახურისთვისო), 3) საქალაქო მიწების ექსპლუატაციის საკითხს, 4) საკითხს იმის შესახებ, რომ შემწეობა მიეცეს 13 მეფარნეს, რომელნიც უადგილოდ დარჩნენ შტატის გაუქმების გამო, 5) ტფ. „კრუჟოკ“-ისთვის ახალ ვადით შენობის მიქირავების საკითხს და 6) ქუჩაზე ფეხსაცმელის გამწმენდთა თხოვნას ადგილების ქირის შემცირების შესახებ.

## ქუთაისი

✦ წერა-კითხ. გამ. ს. ქუთ. განყოფილების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე სტამბის გახსნის შესახებ.

✦ გუბერნატორმა ნება დართო შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დ. ჭიათურაში ბიბლიოთეკა გახსნას.

✦ ჭიათურის წ.-კ. გ. საზ. განყოფილებამ გადაწყვიტა წიგნის მაღაზიის გახსნა.

## ბათომი

✦ ბათომიდან მარტში 1,616,197 ფუთი შავი-ქვა გაუზიდია.

✦ თანახმად ბათომის საოლქო საქალაქო საქმეთა საკრებულოს დასკვნისა, მეფის მოადგილემ ნება დართო ბათომის ქალაქის თვითმართველობას აიღოს 300000 მან. მოკლე ვადიანი სესხი, რომელიც 5 წლის განმავლობაში უნდა გადიხადოს.

## კავკავი.

✦ კავკასიის ოლქის მზრუნველმა სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა—კავკავში გაიხსნას სამრეწველო ტეხნიკური სკოლა საშუალო სკოლის პროგრამით. სკოლაში იქნება ორი მოსამზადებელი და ოთხი ძირითადი კლასი, ხელმძღვანელობას გაუწევს კავკავის რეალურ სასწავლებლის დირექტორი.

# პ. ინგოროყვას რეფერატი

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში ბ-ნმა პ. ინგოროყვამ წაიკითხა რეფერატი იმის შესახებ, თუ როდის სცხოვრობდა „ვეფხის-ტყაოსანი“-ს ავტორი. კრების გახსნამდე, საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას. შემდეგ ახალგაზდა ლექტორმა წაიკითხა თავისი მოხსენება, რომელსაც მოჰყვა ბაასი. ბაასში მონაწილეობა მიიღეს ბ-ნმა დ. კარიჭაშვილმა, ს. გორგაძემ და სხვებმა. დაწვრილებით ანგარიშს სამშაბათს მოვათავსებთ.

# არჩილ ჯორჯაძის

### გარდაცვალების გამო.

### ქ. დორპატში.

ქართულ სათვისტომოში პარასკევ საღამოს შემაძრწუნებელი დეპეშა მივიღეთ: არჩილ ჯორჯაძე გარდაიცვალაო. მთელი აქაური სტუდენტობა უსაზღვრო მწუხარებამ მოიცვა...

შაბათს 11 საათზე სათვისტომომ საგანგებო კრება მოიწვია. კრებას არა წევრებიც დაესწრნენ. თავმჯდომარემ ა. პ—ამ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, სადაც გაკვრით აღნიშნა არჩილ ჯორჯაძის ტრადიზმით მოცული მოღვაწეობა, რომელმაც, ორატორის სიტყვით, პირველად გაუწალდა გზა ერის მომავლის მსახურებს, ვინც ბურუსში გახვეული და ბევრისაგან ათვალწუნებული ეროვნული იდეალი ნათელ ჰყო. მან, ერის ბურჯმა და ახალგაზდობის მოძღვარმა, უარჰყო თავისი პირადი ბედნიერება-სიამოვნება და სამშობლოს შესწირა თავიო. ხანგრძლივმა შეუწყვეტელმა თავგამოდებულმა მოღვაწეობამ უდროოდ გამოასალმა იგი წუთისოფელს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ერი ღირსეულად იგლოვს თავისი ღვიძლი შვილის უდროოდ დაკარგვასო, მაგრამ ჩვენ, საერთოდ ქართველი სტუდენტობა, ‍ დ კერძოდ კი დორპატელები, ვალდებულნი ვართ განსაკუთრებით აღვნიშნოთ ჩვენი სათვისტომოს საპატიო წევრის ხსოვნა, რომელიც მუდამ თანაგრძნობით ეკიდებოდა ჩვენს კეთილ საქმეს და ოვვ ლ ახალ ხაბიჯს.

ამის შემდეგ კრებამ იქონია თათბირი, თუ რანაირად აღნიშნონ დიდებული ადამიანის ხსოვნა. გადასწყვიტეს 10 დღის განმავლობაში ატარონ შავი და იგლოვონ ყველა ქართველისათვის ძვირფასი ადამიანი. შემოსონ შავებით აგრეთვე სათვისტომოს ბინა. გარდაცვალების დღე ყოველ წლივ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში აღიარებულ იქმნას სამგლოვიარო დღედ. დორპატის ქართულ სათვისტომოს ინიციატივით გამოსცენ კრებული არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის პატივისცემის აღსანიშნავად. ქ. სათვისტომოში არსებულ სალიტერატურო წრეს არჩილ ჯორჯაძის სახელი ეწოდოს.

ამასთანავე კრებამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ახლო მომავალში მოაწყობს რამდენიმე მოხსენებას რუსულ ენაზე.

შემდეგ ამისა გადაიხადეს პანაშვიდი. **პარ-კანი.**

### ვარშავაში.

კვირას, 24 მარტს, ქართულმა კულტურულმა წრემ მოისმინა პატივცემულ არჩილ ჯორჯაძის ავადმყოფობის სამწუხარო ამბავი და დაადგინა თავისი თანაგრძნობა დეპეშით შეეტყობინებინათ, მაგრამ... იმავ რიცხვში ღამით დაბრუნებულმა დეპეშამ მძიმე ამბავი მოიტანა...: არჩილი, ჩვენი იმედი და სიხარული, გარდაცვლილიყო... ამ ამბავმა განუსაზღვრელი მწუხარება გამოიწვია.

არჩეულ წარმომადგენელთ დაევალათ ქართველ სტუდენტთა სახელით სამძიმარი გარდაეცათ ვარშავაში მცხოვრებ არჩილის სიძე—ექიმ შრეიბერისათვის, გაზეთში გამოეცხადებინათ არჩილის გარდაცვალების ამბავი და დაენიშნათ დრო და ადგილი პანაშვიდის გადასახდელად. პანაშვიდის დღეს ნელ-ნელა შეიკრიბა ქართული კოლონია მიძინების ტაძარში. მიუხედავად ავდრისა (დიდი და ხშირი სეტყვა იყო), საკმაოდ მოიკრიბა თავი ქართველობამ: სტუდენტობის გარდა, იყო თვით სიძე არჩილისა—ბ. ალბრეხტ შრეიბერი, რამდენიმე ქართველი სამხედრო პირი და გარეშენი.

ერთმა დიდმა და მაღალმა გრძნობამ შეგკრიბათ თქვენ აქა—სცეთ პატივი თქვენ გარდაცვლილ მოღვაწეს, რომელსაც, როგორც ვხედავ, სახელი დიდი მოუხვეჭია თქვენშიო, —ამ სიტყვებით მოგვმართა იქ მყოფთ პანაშვიდის წინ მღვდელმა თეოდოროვიჩმა.

პანაშვიდის შემდეგ გამოითქვა სურვილი მეორმოცე დღეს მოეწყოს ქართული წირვა და პანაშვიდი და ამისათვის შესდგეს ქართული გუნდი და მოიწვიოს ვარშავს ახლო მცხოვრები ქართველი მღვდელი სამხედრო უწყებისა; ამ დღეს ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდოს არჩილის ღვაწლის დამახასიათებელი წერილი და წაიკითხოს მოხსენებანი არჩილის შესახებ კულტურული წრის კრებაზე...

ასე გაიზიარა ვარშავის ქართველმა სტუდენტობამ საერთო წუხილი და გლოვა ქართველ საზოგადოებისა, ასე სცა მან პატივი დაუვიწყარი არჩილის ხსოვნას, იმ არჩილისას, რომელიც იყო ჩვენი ინტელიგენციის ზრახვა-გულისთქმათა პირველი მჭევრი მემატიანე და თავგანწირული და დაუღალავი გუშაგი ჩვენის ეროვნებისა... **მ. ბერძენი.**

# ქრისტეს სახელით

### (ქართველ საზოგადოების მიმართ).

ახლოვდება დიდებული დღესასწაული.

მირბიან, მიფრიალებენ ამწვანებული დღეები.

მილიონები ხალხისა რამდენიმე დღის შემდეგ ღაღადით მიეგებება იმის აღდგომას, რომელმაც კაცობრიულის სიყვარულით გაანათა ქვეყანა.

განსაკუთრებით ამ დღეებში ჩერდება აზრი საცოდავ მშიერ, დაჩაგრულ ხალხზე.

ყველა ნაბიჯზე შევხვდებით მოხუცს, ავადმყოფს, უხეიროს, დამახინჯებულს. საცოდავად აგლანჯულები, ძონძებში გახვეულნი ხელ-გამოშვერილი მოწიწებით შემოგვძახიან:

— გამიკითხე, გენაცვალე! შვილიშვილები მეხოცებიან შიმშილითა...

— საავადმყოფოდან გამოველი, პური არა მაქვს!

სულ მცირე ორი გროშიც კი რომ მიაწოდოთ—ტკბილ ლოცვას, იმ ლოცვას, რომელიც იბადება მარტო ქართველის გულში—არა აქვს საზღვარი.

მაგრამ რამდენია იმისთანა, რომელსაც არა აქვს გაბედულობა, იტანჯება ნესტიან ბნელ სარდაფების კუნჭულებში, ქუჩაში კი ვერ გამოდის, ვერ აჩვენებს უზრუნველად მოსეირნე კოხტად ჩაცმულ ხალხს თავის შიმშილს. იმდენი დღე გქონდეს, მკითხველო, რამდენიც ამისთანა შესაბრალისი ხალხია ტფილისში! ყოველ ტომს აქვს თავისი საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც ზრუნავს თავის უბედურებზე.

სად არის ამგვარი ქართული საზოგადოება? არ ისმის არც წევრების, არც თავმჯდომარის არსებობა?

ნუ თუ ისეთ ტკბილ ძილში ბძანდებიან, რომ ამ საცოდავი ხალხის გმინვა და ტირილი არ ესმით!

**დ. ვედრებისელი.**

# ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

### 1911—1912 წლ. მოქმედების ანგარიში

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული საზოგადოება შედარებით ძლიერ ნორჩია, მას სულ-მცირე ხნის განმავლობაში ბევრი რამ ფრიად მნიშვნელოვანი და სამკვიდრო გაუკეთებია. ამას გვიმტკიცებს საზოგადოების ორი წლის მოქმედების ანგარიში, რომელიც მის საბჭოს დაუმზადებია წევრთა საზოგადო კრებისათვის.

ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წესდება 1910 წ. 22 მარტს დაუმტკიცებია მთავრობას, ხოლო მისი მოქმედება დაწყებულა 1911 წ. 22 მარტს. მას შემდეგ დღემდი ამ საზოგადოებას სათავეში უდგანან: თავ. დიმ. ჩოლოყაშვილი (თავმჯდომარე) თავ. ს. ვახვახიშვილი (თავმჯდ. ამხანაგი) და საბჭოს წევრები: ვ. ერცხილაძე, ს. ხუნდაძე, გ. ქურდიანი, ს. ყაზახიშვილი, ი. ქუთათელაძე, თავ. კ. ამირეჯიბი, თავ. პ. ლორთქიფანიძე, დ. ნახუცრიშვილი, ი. იოსელიანი, თავ. ვაჩნაძე.

1912 წლ. გასულს საზოგადოებას ჰყოლია 222 წევრი.

საზოგადოების საბჭოს 1911 წ. ჰქონია 35 სხდომა, 1912 წელსაც ამდენივე. საბჭოს სხდომებს, წევრებსა და კანდიდატებს გარდა, დასწრებიან გარეშენიც, რომელთა რიცხვი 1912 წ. 182 ყოფილა.

საზოგადოების საბჭოს მოქმედება სექციებად ყოფილა დაყოფილი: მაგ., საკოოპერაციო, სასოფლო-სამეურნ. კულტურისა, ზოოტეხნიკური და ტეხნიკური.

საანგარიშო ხნის განმავლობაში საზოგადოების საბჭოს შეუმუშავებია მრავალი მოხსენება და სამოქმედო გეგმა სამეურნეო კულტურის სხვა და სხვა დარგისათვის,—რომელთა უმეტესობა კიდევაც განუხორციელებია.

ასე მაგ., 1) გორში მოუწვევია ქართლის მეხილეთა კრება ამხანაგობის შესადგენად;

2) ს. ლილოში მოუწყვია მერძევეთა ამხანაგობა, რომელიც მშვენივრად მოქმედებს;

3) თელავში მოუწვევია თათბირი ამერიკული ვაზის კულტურის გავრცელებისა; ამ მიზნით ს. იყალთოსა და მუკუზანში საზოგადოების საბჭოს შეუძენია 32 დეს. მიწა სანერგეს გასამართავად;

4) საბჭოს საგანგებო კომისიას დაუთვალიერებია თავ. კ. ამირეჯიბის სამაგალითო მეურნეობა ს. ავლევში და დაუდგენია ყოველწლიურად 1000 მან. დახმარების მიცემა ამირაჯიბის მიერ დაარსებულ სახელოსნოებისათვის;

5) საგანგებო კომისიას დაუთვალიერებია აგრეთვე კაიშაურის ველი, რათა შეემუშავებინა ღონისძიებანი ქართულ მეჯოგეობის გაუმჯობესებისათვის;

6) საზოგადოებას მონაწილეობა მიუღია სრულიად რუსეთის მეცხვარეობის გამოფენაში, სადაც გაუგზავნია ქართული (თუშური) ჯიშის 4 ცხვარი.

საანგარიშო დროის განმავლობაში საბჭოს ჰყოლია ორი აგრონომი: ერთი ქართლისა, ხოლო მეორე კახეთის რაიონისათვის; მათი მოქმედების გასანაყოფიერებლად მოუწყვია ორი სააგრონომო სადგური.

შეუმუშავებია მოხსენება სამეურნეო იარაღების ცენტრალურ საკომისიო საწყობის დასაარსებლად ტფილისში.

ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთათვის უფასოდ დაურიგებია ბოსტნეულობის თესლი.

ბრეთის ამხანაგობისათვის უყიდნია თვისი ხარჯით საკის სისტემის გაუმჯობესებული ფარცხი.

ლონდონში მოუწყვია სავაჭრო საგენტო.

და სხვა მრავალი საქმე რჩევით თუ პირ და პირი მონაწილეობით.

საბჭოს შუამდგომლობით, სამეურნეო დეპარტამენტს 2000 მან. გადაუდვია კახეთში ფილოქსერასთან ბრძოლის საქმისთვის, ხოლო 1913 წ. კიდევ დაჰპირებია 5000 მან.

საზოგადოებას ჰქონია საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც 226 წიგნს შეიცავს; აგრეთვე საკუთარი სამეურნეო მანქანები და იარაღები. საზოგადოების უძრავ ქონებას შეადგენს 32 დეს. მიწა ს. იყალთოსა და მუკუზანში.

1912 წელს საზოგადოებას ჰქონია 14,717 მან. შემოსავალი, გასავალი კი 11,888 მან. ხოლო 1913 წლ. 1 იანვრისათვის საზოგადოების ანგარიშის მდგომარეობა გამოიხატება 4,816 მანეთით. **კოლხი.**

# პატარა ფელეტონი

### ტფილისის სადგური და სახელმწიფო სათათბირო.

ტფილისის რკინის გზის სადგურზე ერთ ძველსა და ამავე დროს ყოველთვის ახალ მოვლენას წააწყდი—ეგრედწოდებულ „პერონის“, ბაქანის ბილეთებს. ვისაც ბუფეტიდან ბაქანზე, მატარებლისკენ რაიმე საქმისათვის, ან ვისმეს გასაცილებლად, გასვლა უნდა, ორ-შაურიანი ბილეთი უნდა აიღოს, თორემ ისე არ გაუშვებენ. ამ ბილეთს ბაქანის კარებში დარაჯი გამოგართმევს და აღარ დაგიბრუნებს. თუ ისეთი საქმე გაქვს, რომ ბაქანზე გასვლა, შემდეგ ისევ ბუფეტში დაბრუნება და ხელმეორედ გარედ გამოსვლა გჭირია, ახალი ბილეთი უნდა იყიდო.

ერთობ საყურადღებო მოვლენაა. გავალებენ, რომ საქმე უთუოდ ბაქანზე გქონდეს; ცხადად, დაუფარავად, სადგურის გამგეთა თვალ-წინ უნდა ტრიალებდე. გასვლა-შემოსვლა—რა საქმეა: ცუღლუტობაა და სხვა არაფერი. თვითეული გონიერი ადამიანი ჩვენ დროში ერთ წერტილზე უნდა ბრუნავდეს, ერთ ადგილს უნდა ჩაჰკირკიტებდეს, თორემ საეჭვო სულდგმულად ჩასთვლიან.

პატარა, ორ-შაურიანი ბილეთი დიადი და დაუფასებელი წყობილების სურათია. არ არის დიდი ხანი, რაც ეს ბილეთები შემოიღეს, მაგრამ დიდი ხანია მას აქეთ, რაც ამ ძვირფასი რეფორმის წინამორბედი გაჩნდა ჩვენს ქვეყანაში. ეს გახლდათ მიყრუებულ სოფელში მცხოვრები ერთი ძველი იმერელი აზნაურიშვილი. იმისი შვილი მეოთხმოცე წლებში ჩემთან ერთად სწავლობდა, ქუთაისის გიმნაზიაში. მიაბარეს თუ არა, კლასიდან კლასში თავისუფლად ვერ გადავიდა: ნაზაფხულევს ხელახალი გამოცდა, ეგრედ-წოდებული „პერეეგზამენოვკა“ დაუნიშნეს მასწავლებლებმა. გიმნაზიელები ამისთანა შემთხვევას თავისებური ენით აღნიშნავენ ხოლმე: „პერეეგზამენოვკა მისცესო“.

ჩემ ამხანაგსაც ამგვარი „პერეეგზამენოვკა“ მისცეს ბერძნულ ენაში, და იმანაც მიიღო, რასაკვირველია, რადგან მეტი გზა, არ ჰქონდა. ყმაწვილმა ეს ამბავი თავის მამას მისწერა მიყრუებულ სოფელში. გიმნაზიელების ჩვეულებრივი ენით იყო ბარათი მინაწერი: „პერეეგზამენოვკა“ მომცა ს და დროზე ცხენი გამომიგზავნეთ, რომ საზაფხულოდ გეწვიოთო“.

მამამ სასწრაფოდ ცხენი გაუგზავნა და გამყოლს წერილი გაატანა; შიგ ეწერა: „დიდად მოხარული ვარ, ძვირფასო და საყვარელო შვილო, რომ არა თუ უმაღლეს კლასში გადასულხარ, კარგი სწავლისათვის კიდევ რაღაც საჩუქარი—„პერეეგზამენოვკა“—უბოძებიათ შენთვის: ერთობ სასიამოვნოდ დაგვრჩა ეს ამბავი მე და დედაშენს და ცხენის უნაგირზე განსაკუთრებული ლამაზი ხურჯინი დავაკარით, რათა შენდა და ჩვენდა სასიხარულოდ ნაწყალობევი ძვირფასი „პერეეგზამენოვკა“ შიგ ჩასდო და თან წამოიღოო“.

ეს წინასიტყვაობა საჭირო იყო: როცა წაიკითხავთ, აღარ გაგიკვირდებათ რაც შემდეგ მოხდა.

წარმოიდგინეთ, როგორ დამწუხრდნენ ჩემი ამხანაგის მშობლები, როცა მათმა ძვირფასმა შვილმა შინ ცარიელი ხურჯინი მოუტანა და „პერეეგზამენოვკის“ ნამდვილი მნიშვნელობა განუმარტა.

რა უნდა ექნათ საცოდავ მშობლებს? დაემორჩილნენ თავის სვებედს და გადასწყვიტეს, სასტიკად თვალყური უნდა ვადევნოთ ჩვენ შვილს, რომ უგზო უკვლოდ არ ირბინოს, არ იცელქოს, არ იზარმაცოს და „პერეეგზამენოვკისათვის“ კარგად მოემზადოსო. შვილიც იძულებული იყო, რასაკვირველია, ბერძნული სახელმძღვანელო წიგნი ხშირ-ხშირად გადაეშალა და ცრემლიანი თვალებით მიშტერებოდა.

უნდა იცოდეთ ამ სახელმძღვანელო წიგნის შინაარსი, რათა შემდეგ მომხდარმა ამბავმა არ გაგაკვირვოთ: რუსულად იყო დაბეჭდილი; ბოლოში ლექსიკონი ჰქონდა ჩართული, სადაც რუსული სიტყვები ბერძნულად იყო განმარტებული. მოწაფეს ჯერ რუსულად ნაბეჭდი უნდა წაეკითხა, შემდეგ წიგნის ბოლოში ბერძნული სიტყვები უნდა ეძებნა, რათა რუსულად წაკითხული ბერძნულად გადაეთარგმნა.

პირველად რომ ჩაუჯდა ყმაწვილი ამ წიგნს, რასაკვირველია, ამ რიგად შეუდგა საქმეს: ჯერ წიგნის სათავეში კითხულობდა ტექსტს, შემდეგ მის ბოლოში სიტყვებს ეძებდა.

მამა ორიოდე წუთის განმავლობაში ჩუმად უცქერდა თავის შვილს, შემდეგ სახეზე უეცრად მრისხანების ნისლი გადაეფარა, თვალებში საზარელი ელვა გამოკრთა, მსწრაფლ წამოხტა და დასჭექა: „ვის ატყუებ, შე საძაგელო, შენა: თუ კითხვა და სწავლა გინდა, ერთ ადგილას უნდა იკითხო და არა ეშმაკურად ჩემ თვალ-წინ წიგნი ატრიალოო“.

ვაჟმა სიტყვის შემობრუნებაც ვერ მოასწრო: მეხივით ჩასცხო მრისხანე მამამ სილა ყურის ძირში და თვალთაგან ცრემლის წვიმა წამოაყენებინა.

რკინის გზის ადმინისტრაციაც სწორედ ამ მოსაზრებით უკრძალავს მგზავრებს სადგურზე წარამარა ტრიალს. თუ მართლა გონიერი და სერიოზული საქმე გაქვთ, ჩვენ თვალწინ, სადგურის ბაქანზე უნდა შეასრულოთ და არა წალმა-უკუღმა ირბინოთო.

თუ იფიქრებთ, რომ ამ პაწია მოვლენაზე ასე დიდ ხანს შეჩერება არ ღირდა, ძალიან შესცდებით. ჩვენ დროში თვითეული პაწია მოვლენა ჩვენი დიადი წყობილების მაჩვენებელია. ის ძალა რომელიც მთელ ჩვენ წყობილებას განაგებს, თვის მიერ შექმნილი პაწია და დიდ ამბებზე ერთნაირ, ერთგვარ დაღს დაასვამს ხოლმე.

უამისობა შეუძლებელია. თვითოეული სულდგმული, რა საქმესაც უნდა ასრულებდეს, დიდია იგი თუ პატარა, ყოველთვის თავისი ერთნაირი, თანდაყოლილი ხასიათის თანახმად მოქმედობს. შეხედეთ მაიმუნს, როცა იგი უეცრად დიდი მრისხანებით თვალებს შემოგიბრიალებს და შემდეგ ისევ უეცრად იღლიაში ხელს შეიყოფს და შიგ პაწია რწყილს დაიჭერს: იგი ხომ ორსავე შემთხვევაში ერთნაირად სასაცილოდ მოქმედებს.

ამიტომ ნუ გაიკვირვებთ, როცა მოგახსენებთ, რა დიდი მზგავსებაა მაგალითად სახელმწიფო სათათბიროსა და ტფილისის სადგურის ბაქანს შორის. ორივე, თუმც დიდი და პაწია, ერთი და იგივე წყობილების შედეგია და ამიტომ ერთნაირად სასაცილოა.

ტფილისის სადგურის ბაქანზე მხოლოდ იმას შეუშვებენ, ვისაც ორ-შაურიანი ბილეთი უყიდნია. ის საარჩევნო სისტემაც, რომლის წყალობით სათათბირო მთავრობის მომხრე ხალხით ივსება, თქვენც დამეთანხმებით, ორ შაურზე მეტი არა ღირს.

ტფილისის სადგურის ბაქანზე რომ გახვალთ, ბილეთს გამოგართმევენ, რათა უკან აღარ დაბრუნდეთ ‍ დ ხალხში არ გაერიოთ. სახელმწ. სათათბიროშიაც რომ შეხვალთ, ადამიანობას ჩამოგართმევენ და იქ ნათქვამ თქვენ ცხარე სიტყვას უფლება არა აქვს ხალხში დაბრუნდეს და შიგ გაერიოს.

განა ამას წინად არ მოხდა, რომ როდიჩევის სიტყვა გამოტოვებული იყო დეპეშებში და მთელ რუსეთის პრესაში, აკრძალვის გამო, ადგილი არ მიეცა?

ტფილისის სადგურის ბაქანზე გამოსულ ადამიანს უფლება აქვს თავისი საქმე მხოლოდ იქ, გზის ადმინისტრაციის წინაშე, შეასრულოს: უკან დაბრუნება და ხალხში მოქმედების გზა აღკვეცილი აქვს.

სათათბიროს ასპარეზზე გამოსულ დეპუტატებსაც უფლება აქვთ თავისი საქმე მხოლოდ იქ, მთავრობის წინაშე, შეასრულონ, უკან დაბრუნებისა და ხალხში მოღვაწეობის გზა აღკვეცილი აქვთ.

შეიძლება ამაზე მომიგოთ, რომ მემარჯვენე დეპუტატებს არავინ უშლის თავისი მოღვაწეობა სათათბიროდან ხალხში გადაიტანონ და რომ ეს აკრძალვა მხოლოდ მემარცხენე დეპუტატებს შეეხებაო.

მეც გიპასუხებთ, რომ ტფილისის სადგურის ბაქანზედაც არავინ უშლის მთავრობის დიდ მოხელეებსა და სამხედრო პირებს უბილეთოდ გავიდ-გამოვიდნენ და როგორც სურთ—ისე იმოქმედონ, და რომ ეს აკრძალვა მხოლოდ უბრალო მომაკვდავთ შეეხება.

ძველმა სოფლის აზნაურიშვილმა მწარედ ჩასცხო სილა ყურის ძირში თავის შვილს მხოლოდ იმისათვის, რომ იგი წიგნის ერთ ადგილს არ მიაშტერდა და ყურადღება წიგნის ბოლოშიაც გადაიტანა.

ახალი დროის ძველი მესვეურნიც მწარედ ჩასცხებენ სათათბიროს იმ დეპუტატს, რომელიც მხოლოდ ამ დაწესებულებას არ მიაშტერდება და ყურადღებას ხალხშიაც გადაიტანს.

**ილია ნაკაშიძე.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

5 აპრილი.

### ბალკანეთის ომი.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტო იუწყება; ჩათალჯაში საომარი მოქმედების შეჩერება მოხდა სიტყვიერი შეთანხმებით, შემდეგის პირობებით: ბულაირში და ჩათალჯაში საომარი მოქმედება 10 დღით იქნება შეწყვეტილი; თუ ამ დროის განმავლობაში ზავი არ ჩამოვარდა, დროებითი ზავის ვადა შეიძლება გაგრძელდეს; ორივე მხარეს წარმომადგენელთა კომისია ნეიტრალურ წრეს გაავლებს თუ ომი განახლდა, 48 საათით წინ უნდა აცნობონ ორივე მხარეს; დროებითი ზავის დროს ოსმალეთის ფლოტი ხელს არ შეუშლის ბულგარეთის ჯარისთვის სანოვაგის მიტანას.

**სტამბოლი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ 31 მარტს ერზინჯანში, სარქისკო კაზანჯანის სახლში, აფეთქება მოხდა. აფეთქებით დაინგრა კაზანჯანისა და მეზობელი სახლები. ნანგრევებში აღმოაჩინეს სარქის კაზანჯანის და ორი სომხის გვამი. გაჩხრეკის დროს სხვა სომხებს აღმოაჩნდათ თოფები და ყუმბარები. თუმცა ოფიციალურ ცნობით ქალაქში უწესოება არ მომხდარა, მაგრამ პატრიარქის სიტყვით,

ერზინჯანში დიდი მოძრაობაა; მღელვარება იწყება ბითლისსა და ხაჯიგში; ოსმალეთის მთავრობა ჰგზავნის სომხების ვილაიეტში რუმელიის ჟანდარმერიას. ერთობისა და პროგრესის კომიტეტმა დაადგინა, დაითხოვოს თანამდებობიდან ყველა ალბანელი მოხელე.

**ომი და სახელმწიფონი**

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს შეუტყვია, რომ ელჩთა თათბირმა მსჯელობა იქონია ჩერნოგორიის ფინანსიურ დაჯილდოვებაზეო. გადაწყვეტილება ცნობილი არ არის. თუმცა დროებითი ზავი ოსმალეთსა და ბულგარეთის შორის შეიკრა, მაგრამ ამას ზავის წინამორბედად სთვლიან.

**სოფია.** „მირი" იტყობინება: საპასუხო ნოტა პაშიჩის უსკიუბში ყოფნის გამო დაგვიანდაო. პასუხს დღეს მოელიან. საბერძნეთმა უკვე სურვილი გამოსთქვა დიდ სახელმწიფოთა წინადადებაზე.

**რომი.** პარიზის საფინანსო კონფერენციის წევრებად იტალიის მთავრობამ დანიშნა გარეშე საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი კოხი, იტალიის ბანკის განყოფილების უფროსი კანოვანი და ხაზინის დირექტორი როსინი.

**ბუქარესტი.** დეპუტატთა პალატის სხდომის გახსნისას, უცნობმა გალერეიდან რევოლვერი დასცალა და შეჰყვირა: „საჭიროა, რომ ბოლოს მაინც შეისმინოთ ხმა მაკედონელისა!"-ო დარბაზში მღელვარება ასტყდა. თავმჯდომარემ განაცხადა: „სხდომა გრძელდება", რამაც მხურვალე ტაშის ცემა გამოიწვია. უცნობს აღმოაჩნდა თხოვნა. იგი სასამართლოს გადაეცა.

**ბრიუსელი.** სტამბის მომუშავეებმა გაფიცვა გადასწყვიტეს. ხვალ გაზეთების უმრავლესობა არ გამოვა.

**რ უ ს ე თ ი.**

**კიევი.** ლენის აბჯების წლის თავზე სამი ქარხნის მუშები გაიფიცნენ, გაფიცულთა რიცხვი 3.000 უდრის.

**პეტერბურგი.** „გრადონაჩალნიკის ვედომოსტი"-ს ცნობით, პეტერბურგში 55.000 ათასი მუშა იყო გაფიცული. რადგანაც ბრბო შეეცადა გაეხთავისუფლებინა ერთი შეპყრობილი მუშა, პოლიცია იძულებული იყო ბრბოს რევოლვერებით დამუქრებოდა. არეულობის დროს 36 კაცი შეიპყრეს.

## წერილ. რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

როგორც „სახალხო გაზეთ"-ში მოთავსებულ წერილიდგანა სჩანს, ბ. ს. ნ. კაკაბაძე თავის თავს ნაწყენად ''თვლის იმიტომ, რომ თითქოს სათაურში ჩემი რეფერატისა შოთას და წმ. ნინოს შესახებ მისი პიროვნება ფრჩხილებში ჩასმულად იგულისხმებოდეს. უნდა მოვახსენოთ ბ. ს. კაკაბაძეს, რომ არავითარ ამის მსგავს მოვლენას ჩვენის მხრიდან ადგილი არა ჰქონია. ჩემი რეფერატი ატარებს სათაურს: **„როდის სცხოვრობდა შოთა რუსთაველი? მიუძღვის თუ არა ღვაწლი წმ. ნინოს ქართველთა შორის ქრისტიანობის დანერგვაში?** (ბ. ს. კაკაბაძის ლექციების გამო შოთას და წმ. ნინოს შესახებ)". სათაური, გამოქვეყნებული „სახალხო გაზეთსა" და „ზაკავკაზიე"-ში მე არ მეკუთვნის და ჩემდა დაუკითხავად არის შედგენილი და დაბეჭდილი. ეს სათაური სრულიად შეუფერებელიც არის,ვინაიდგან არც ბ. კაკაბაძეს ჰქონია მიზნად „ვეფხის-ტყაოსნის" კრიტიკა არამედ მხოლოდ გამორკვევა იმისი, თუ როდის სცხოვრობდა რუსთაველი. ჩვენი მოხსენების პირველი ნაწილიც მხოლოდ ამ უკანასკნელ საკითხს შეეხებოდა და არა შოთას რომანტიულ პოემის კრიტიკოსებს. ამისათვის ასეთ შემცდარ სათაურის გამოქვეყნების დღესვე, ჩვენ პირადად გადავეცით „სახალხო გაზეთის" რედაქციას, რომ ეს შეცდომა არის და მივმართეთ „ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების" საბჭოს წერითად შეესწორებინა ეს შეცდომა. „ქართ. კულტ. მოყვარულთა საზოგადოების" საბჭომაც არ დააგვიანა და 4 აპრილს, ე. ი. სარგის კაკაბაძის წერილის ერთი დღით წინა, თვით ჩაიტანეთ საბჭოს შესაფერისი განმარტება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში. სამწუხაროდ, „სახალხო გაზეთის" რედაქციას დროზე არ გამოუქვეყნებია ეს ცნობა, რამაც გამოიწვია აღნიშნული გაუგებრობა და ბ. კაკაბაძის ჩემდამი მომართული უსამართლო ბრალდება. ვთხოვ პატივცემულ გაზეთის რედაქციას დაამოწმოს აქ აღნიშნული და დაუმსახურებელი ბრალდება აგვხადოს*)

**პ. ინგოროყვა.**

მ. ხ. ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ჩემი ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა იმ პირთ, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩემ მიერ ქართულ თეატრში 30 მარტს გამართულ სალიტერატურო და სამხატვრო საღამოში: ქ.ქ-თ. გოგოლაშვილს, კოვალევსკის, ნემეტის, სოლოვიოვისას და ბ.ბ. აკაკის, უმბაძეს, ქუჩიშვილს, ჩხიკვაძეს, მჭედლიშვილს, რუხაძეს, ციციშვილს, აბდუშელს, საფაროვს, სარაულს, ანდრონიკაშვილს, იორდანიშვილს, ვარვარიძეს, კომპოზიტორ სულხანიშვილს და მისი გუნდის მომღერალთ, ლორთქიფანიძეს, ოვეროლოს და ქართულ დრამატიულ კურსების მოწაფეთ, პრესმანს და ყველა იმათ, ვინც ხელი შეუწყო ჩემს საღამოს.

დიდ მადლობას ვუძღვნი აგრეთვე „ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭოს, რომელმაც უსასყიდლოდ დამითმო თეატრი და ორკესტრი და ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ნივთიერი დახმარების აღმოჩენისათვის.

პატივისცემით **ს. აბაშელი.**

*) რედაქცია ამოწმებს, რომ ზემოხსენებული შენიშვნა ბ-ნმა ინგოროყვამ კი არ მოიტანა, არამედ საბჭ-მ, რომელმაც მეორე დღესვე გაასწორა შეცდომა. **რედ.**

---


# განცხადებანი

## ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**
**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მექანიკური ნაწარმოები.



17...

## СИРОЛИНЪ „РОШЪ"

**ჩინებულად ჰმოქმედობს**
**ძველის-ძველ ხველაზე, სასუნთქ ორგანოთა კატარის დროს, ყივანა-ხველისა და გულ ჭიდილის დროს**

## სიროლინ „როშ"

**სწმენდს ორგანიზმს, იწვევს მადა', საჭმლის მონელებას ჰადვილებს, ნახველის ამოღებას ხელს უწყობს.**

იყიდება ყველა აფთიაქებსა და საათფთიაქო მაღაზიებში.

მოითხოვეთ უსათუოდ **სიროლინ „როშ"** თავისებურ საქარხნო გასახვევით.

ჩ. 66863. 106₉



**შემთხვევით იყიდება**

**ღვინის სარდაფი,** ხელმისაწდომ ფასებში. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი მაჩაბელისა № 52, გიორგი სესიევთან. 207.

**ყოველთვის თან სატარებელი მოხერხებული გასაშლელი**

**სამზარეულო**

ლამფაზე შეიძლება ხარშვა, შეწვა და დამზადება საჭმელებისა.

**ფ ა ს ი 90 კაპ.**

ისყიდება მხოლოდ გ. გობილევთან. ტფილისი. მიხეილოვის პროსპ. № 6. 205.

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე.** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ.—6½ ს.-მდე კახეთის ქ. № 6.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს., საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს, მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. უფასოდ კონსულტაციურად.**

**ა. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ზ. გ. ბეგაბაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა,

**წ. ტ. მუღლინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარამეტიანცი:** 12—1 ს. შინ. ან: ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ნ ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძვირიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი **ზ. ა. ნ ავასარდიანი.**

**გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**

**„SALO—პიჩილინ".**

სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.

**აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას,**

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების-საწყობში.

Метцль 27238. 103 8

**მსოფლიოდ ცნობილი**

**კრემი სიმონ**

მ. ე. ტ. ა. მოირფოზისა.

ერთად-ერთია მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.

**ძირიანად სპობს მზის ნამწვს, ძიძიბებს, ლაქას, ჭორფლს, ნაოჭებსა ღ პირისახის სხვა ნაკლულევანებას.**

მ. 15756 1101





**ცინკოგრაფია**

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

**კლიშეების დამზადებას.**

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ტ.—1090





1078

**თევზეულობის მაღაზია**

**ს. ლ. ხუროშვილისა**

პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.

**ვ ყ ი დ ი თ:**

საუკეთესო მარცვლიან ხიზილალას, ცოცხალ თევზს „ქიტკა"-ს ორაგულს, თართს, ტარაღანას, ლოქოს, მოხარშულ დოშს, ზურგიელს და სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს,

**ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.** 1127.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კატოვ.) **ხიზილალა**

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძმველოვები.**

პუშკ. ქ., საკუთარი ს. № 9.

**ტელეფონი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის სელიოტკები და ყოველგვარი **კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი საკრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

**ფოტოგრაფიულ აპარატებისა და სხვა სახელსაწყო ნივთების საწყობი**

**ო. მ. სოტირიადისა.**

ტფილისი, კიროჩნი ქ. № 10.

**ახალი ფოტოგრაფიული პლასტინკები, გამარჯვება** (побѣда), **იმპერიალი და ქაღალდი გევერტისა და სლონისა.**

დიდი არჩევა ფოტოგრაფიულ

**ბლანკებისა.**

**ფასი ხელმისაწდომია.** 1139



**შემთხვევით იყიდება**

**ა. ბოგდანოვის**

**მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა**

**ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით 1 მანეთად.**

ტფილისს გარედ მცხოვრებთ გაეგზავნებათ 1 მან. 10 კ. წიგნი მოიკითხეთ: სადაც იყიდება ყველანაირი ქაღალდი საფაბრიკო ფასებში.
Тифлисъ, складъ бумагъ Т-во Сергѣева, Дворцовая ул., д. Сараджева, во дворѣ. 1098

**ახალი ამბავი ტფილისში!**

**კულიჩები და პასკები**

გირვანქა: 15, 20, 25 კაპ. და ძვირადაც.

**ყველა ღირსების პასკები წმინდა ერბოთია გაკეთებული,** ვანილითა, ვარდის ზეთითა და სხვა. ვაძლევთ ნიმუშებს და ვკისრულობთ დამზადებას განყოფილებებში:

1) სოლდებნაია, № 6, ✦ 2) წყნეთის ქუჩა, № 15.

208. პატივისცემით კანდიტერი **ილია ფრუიძე.**

**ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლას**

**„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში"**

**ი. გ. ავალიშვილის** ნათარგმნი.

**დაკვეთა შეიძლება: ტფილისში**—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერეთში", **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში", **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში" „მოამბის" ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107





განყოფილება კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხრისა იმყოფება

**ტფილისში,**

გოლოვინის პროსპ., 9, სამხედრო ტაძრის პირდაპირ. 1141.


ტფილისი, მუხრანის ქუჩა სტამბა „შრომა".